ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1938 წ. სექტემბრის 10 № 2 თბილისი

შინაარსი

სახალხო-კომისართა საბჭოს დადგენილებანი

5. შაქრის ჭარხლის, ბამბის, თამბაქოს და კარტოფილის 1938 წლის მოსავლის აღების შესახებ.

6. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის შესახებ.

7. 1938 წლის მოსავლის თამბაქოს აღების გეგმის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

5. შაქრის ჭარხლის, ბამბის, თამბაქოს და კარტოფილის 1938 წლის მოსავლის აღების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 23 ივნისის დადგენილებისა „1938 წლის მოსავლის აკრეფის შესახებ—(სსრკ კან. კრ. № 29, მუხ. 183), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. შაქრის ჭარხალი

1. წინადადება მიეცეს შაქრის ჭარხლის მთესველი რაიონების რაიალმასკომებს, აგარის, კასპის, გორის ახალსოფლის და ოსიაურის სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს:

ა) ჩაატარონ შაქრის ჭარხლის მთელ ფართობზე არანაკლებ ორი გამოკვებისა მინერალური და ადგილობრივი სასუქით, გამოკვება ჩაატარონ პირველ რიგში სუსტად განვითარებულ პლანტაციებზე;

ბ) შეამოწმონ ყველა კოლმეურნეობებში ბრიგადებისა და რგოლების მიმაგრება ცალკეულ ნაკვეთებზე და მიამაგრონ სატრაქტორო აგრეგატებს ტრაქტორისტები და მესაჭეები შაქრის ჭარხლის დამუშავებისა და მოსავლის აღების მთელი პერიოდის განმავლობაში;

გ) ჩაატარონ ყველა კოლმეურნეობაში სეზონის განმავლობაში შაქრის ჭარხლის არანაკლებ ხუთი დამატებითი გაფხვიერებისა, აქედან სამი გაფხვიერება დაამთავრონ ივლისში, ხოლო დანარჩენი—აგვისტოში, ამასთან უკანასკნელი გაფხვიერება ჩაატარონ მწკრივების გამოხშირვის შემდეგ; გაფხვიერების დროს უზრუნველჰყონ შაქრის ჭარხლის განუწყვეტელი გაწმენდა სარეველასაგან;

დ) შაქრის ჭარხლის ზრდის მთელი პერიოდის განმავლობაში იქონიონ ყოველდღიური მეთვალყურეობა შაქრის ჭარხლის მავნებლებისა და ავადმყოფობისაგან დასაცავად და მათი გაჩენისთანავე ჩაატარონ შაქრის ჭარხლის შესხურება შხამებით და მოაწყონ მავნებლების განადგურება ხელით და მექანიკური საშუალებებით.

2. დაწესდეს შაქრის ჭარხლის ამოთხრის ვადა საქართველოს სსრ-ის შაქრის ჭარხლის მთესველ ყველა რაიონში დაწყებული 10 სექტემბრიდან იმ ანგარიშით, რომ სექტემბერში ამოთხრილ და გატანილ იქნას შაქრის ჭარხალი დაახლოებით ნათესი სივრცის 25 პროცენტიდან.

3. დაწესდეს ვადა შაქრის ჭარხლის ამოთხრის სრული დამთავრებისა 5 ნოემბერი და გაზიდვისა—15 ნოემბერი.

4. წინადადება მიეცეს შაქრის ჭარხლის მთესველი რაიონების რაიალმასკომებს დააწესონ თვითეული კოლმეურნეობისა, ბრიგადისა და რგოლისათვის შაქრის ჭარხლის ამოთხრის, გაზიდვის და ჩაბარების ხუთდღიური გეგმები, ამოთხრის ვადების დიფერენციაციით პლანტაციების მდგომარეობის მიხედვით; ამოთხრა პირველ რიგში აწარმოონ სრულმოსავლიან, ადრე დათესილ და მოსარწყავ ნაკვეთებზე.

შაქრის ჭარხლის ამოთხრისა, გაზიდვისა და ჩაბარების გეგმების ცალკეულ კოლმეურნეობებამდე, ბრიგადებამდე და რგოლებამდე დაყვანის დროს მიიღონ მხედველობაში ფაქტიური მოსავლიანი ფართობები და მოსალოდნელი მოსავლიანობა.

5. შაქრის ჭარხლის ამოთხრის დროს დანაკარგის თავიდან აცილების მიზნით დაევალოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს და კოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობების გამგეობებს შაქრის ჭარხლის გაზიდვა სექტემბერში აწარმოონ ამოთხრის დღეს.

დაევალოს რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეებს აგარის შაქრის ქარხნის დირექციასთან ერთად, შაქრის ჭარხლის მთესველი რაიონების სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებთან და კოლმეურნეობების გამგეობებთან ერთად და „საქსოფტრანსთან" ერთად ერთი დეკადის ვადაში დაწესონ თვითეულ კოლმეურნეობისათვის გრაფიკი შაქრის ჭარხლის გაზიდვისა ქარხანაში, იმ ანგარიშით, რომ უზრუნველჰყონ მთელი შაქრის ჭარხლის გაზიდვა ამა დადგენილებით დაწესებულ ვადებში.

6. წინადადება მიეცეს შაქრის ჭარხლის მთესველ რაიონების რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს, რაიონული მიწათმოქმედების განყოფილებათა გამგეებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს, კოლმეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეებს და აგარის შაქრის ქარხნის დირექციას მიიღონ ყველა ზომები შაქრის ჭარხლის დასაცავად გატაცებისა, დაკარგვისა და წანახედისაგან, როგორც მინდვრად, ისე მიმღებ პუნქტებში.

დაწესდეს, რომ მოსავლის აღება პლანტაციიდან დამთავრებულად ითვლება მას შემდეგ, რაც პლანტაციას ჩაიბარებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე, იმ პირობით, თუ ამოთხრილია ყველა ძირები მათი ზომის მიუხედავად,—სათანადო აქტების შედგენით.

7. დაწესდეს გეგმა შაქრის ჭარხლის აკრეფისა მექანიკური საშუალებებით (ჭარხლის ამომთხრელი მანქანით) 4500 ჰექტ. სივრცეზე, მათ შორის ოსიაურის სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის—1050 ჰექტ., აგარის—1100 ჰექტ., გორის—650 ჰექტ., ახალსოფლის-600 ჰექტ. და კასპის 1100 ჰექტ.

8. დაევალოს შაქრის ჭარხლის მთესველი რაიონების რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს, მიწათმოქმედების განყოფილებათა გამგეებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს ისე მოაწყონ მოსავლის აკრეფის სამუშაოები, რომ შაქრის ჭარხლის ამორჩევა და გაწმენდა ხდებოდეს ამოთხრის დღესვე საკონტრაქტაციო ხელშეკრულების მოთხოვნის შესაბამისად, რისთვისაც მიამაგრონ თვითეულ ქარხნის ამომთხრელ მანქანას კოლმეურნეთა საჭირო რაოდენობა შაქრის ჭარხლის მოსავლის აკრეფის მთელი პერიოდის განმავლობაში.

9. რაიონული მიწათმოქმედების განყოფილებათა გამგეებმა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებმა და კოლმეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეებმა მოსავლის აკრეფის კამპანიის დაწყებიდან გამოჰყონ და მიამაგრონ ცალკეულ ბრიგადებს და რგოლებს ცოცხალი გამწევი ძალა და გადაზიდვის საშუალებები (ავტომანქანები, ურმები) საჭირო რაოდენობით და შაქრის ჭარხლის გადაზიდვისათვის საჭირო ინვენტარით, ამასთან მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება ცოცხალი გამწევი ძალის მაქსიმალურად გამოყენებას შაქრის ჭარხლის გაზიდვაზე.

10. დაევალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს შაქრის ჭარხლის ამოთხრის დაწყებამდე მოაწყონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან მოკლევადიანი კურსები ჭარხლის ამომთხრელ მანქანებზე და ფოთლის საჭრელ დაზგებზე მომუშავეთა გადასამზადებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. ბ ა მ ბ ა

11. წინადადება მიეცეს ყარაიის, ბორჩალოს და ლუქსემბურგის რაიონების აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს:

ა) ბამბის მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში ჩაატარონ არა ნაკლებ ექვსი სრული დამუშავება (კულტივაცია, გათოხვნა, გამარგვლა), მეოთხე დამუშავების დამთავრებით 26 ივლისისათვის, მეხუთესი—5 აგვისტოსათვის და უკანასკნელის 20 აგვისტოსათვის, ტრაქტორით რიგთაშორის დამუშავების დაწესებული გეგმის სავალდებულო შესრულებით;

ბ) წყლის დაზოგვის მიზნით ფართოდ იქნეს გამოყენებული კვალობრივი მორწყვა წყლით სარგებლობის ყველა წესის სრული დაცვით, უზრუნველჰყონ მორწყვის რაოდენობა კოლმეურნეობათა მიერ მიღებული აგროწესების თანახმად თვითეული მორწყვის დროს ბამბის დროული დამუშავებით.

გ) ყველა ისეთ ნაკვეთზე, სადაც შესაძლებელია გაჩნდეს ჩორი და ბამბის ხვატასი, ჩაატარონ პროფილაქტიური ღონისძიებები (შეფრქვევა) აგროპერსონალის ხელმძღვანელობით; იქონიონ ყოველდღიური მეთვალყურეობა ბამბის მავნებლების და ავადმყოფობის წინააღმდეგ დროულად ზომების მისაღებად. პასუხისმგებლობა მუშაობის ორგანიზაციისათვის მავნებლებთან და ავადმყოფობასთან ბრძოლის დარგში დაეკისროს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს.

12. დაწესდეს ვადა ბამბის მოსავლის აღებისა 1-ლი დეკემბრისათვის, რის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განთავისუფლებული ნაკვეთები ბამბის ღეროებისაგან და უნდა შეუდგნენ მძრალად ხვნას.

13. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა ბამბის მოსავლის აკრეფის დაწყებამდე დაიყვანოს რაიონებამდე პირველი რეპროდუქციის ნედლი ბამბის ჩაბარების გეგმა და შეამოწმოს გეგმის დაყვანა თვითეულ კოლმეურნეობამდე.

14. ყარაიას, ბორჩალოს და ლუქსემბურგის რაიონების მიწათმოქმედების განყოფილებათა გამგეებმა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებმა და მებამბეობის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა:

ა) შეუდგნენ ბამბის მოსავლის, აკრეფას ისე, რომ არ დაელოდონ კოლოფების მასიურ გახსნას და არ დაუშვან მოუმწიფებელი ბამბის აკრეფა;

ბ) უზრუნველჰყონ სათესლე ბასალის ცალკე აკრეფა და ჩაბარება ცალკეულ რეპროდუქციების მიხედვით;

გ) 15 სექტემბრისათვის დაამთავრონ ბამბის საშრობების რემონტი;

დ) ჩააბარონ დასამზადებელ პუნქტებზე ისეთი ნედლი ბამბა, რომლის ტენიანობა აღემატება სტანდარტითა და საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით გათვალისწინებულს;

ე) შეამოწმონ ბამბის ნაკვეთების მიმაგრება ცალკეულ რგოლებზე იმ ანგარიშით, რომ ბამბის მოსავლის აღების პერიოდში ნაკვეთები დარჩნენ მიმაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებული იმ რგოლებზე, რომლებიც აწარმოებენ ბამბის თესვას და დამუშავებას;

ვ) ბამბის მოსავლის აღების დაწყებამდე დააზუსტონ თვითეული ნაკვეთის მიხედვით ბამბის აღების გამომუშავების ნორმები კოლოფების გახსნისა და მოსავლიანობის მიხედვით, მათი წინასწარი განხილვით და დამტკიცებით კოლმეურნეობათა საერთო კრებებზე;

ზ) ურჩიონ კოლმეურნეობათა გამგეობებს დაურიცხონ შრომადღეები 1,1—1,2 რაოდენობით კოლმეურნეთა მიერ მათთვის დაწესებული ბამბის აღების დღიური ნორმის გადამეტებით აღებული ბამბისათვის.

15. დაევალოს შულავერის ბამბის ქარხანას მთელი სათესად დანიშნული თესლი შეინახოს ტომრებში, ხოლო სათესად დანიშნული პირველი რეპროდუქციის ნედლი ბამბა შეინახოს ტომრებში ან დახურულ იზოლირებულ სადგომებში.

III. თ ა მ ბ ა ქ ო

16. წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს, მეთამბაქოობის რაიონების რაიაღმასკომებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს ჩაატარონ თამბაქოს პლანტაციებზე ზრდის პერიოდში არა ნაკლებ სამი გათოხვნისა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ჩაატარონ მე-4 და მე-5 გათოხვნა და მოსავლის აღების დამთავრებამდე შეინახონ პლანტაცია სუფთად და ფხვიერ მდგომარეობაში.

მანქანით დათესილ და ტრაქტორით დამარკირებულ ნაკვეთებზე მწკრივთა შორის დამუშავება ჩაატარონ ტრაქტორის კულტივატორებით.

ყველა სწორ ნაკვეთებზე, სადაც შესაძლებელია პლანტაციის კულტივაცია, დამუშავება აწარმოონ ცხენის კულტივატორით, ორივე შემთხვევაში თამბაქოს შემდგომი ხელით გამარგვლით მცენარეთა შორის:

ა) უზრუნველჰყონ ტრაპიზუნის და სამსუნის ჯიშის თამბაქოსათვის ექვსჯერ შეტეხვა.

თამბაქოს აღება (შეტეხვა) აწარმოონ მხოლოდ ტექნიკურად მომწიფემული ფურცლების აღებით მომწიფებისთანავე, აუცილებლად ცალკეულ იარუსებში და კატეგორიულად აუკრძალონ ორი იარუსის ერთად აღება.

პლანტაციებზე თამბაქოს ფურცლების არათანაზომიერი მომწიფების დროს აღება აწარმოონ აუცილებლად ამორჩევითი წესით იმ ანგარიშით, რომ მიღწეულ იქნეს მაღალხარისხოვანი თამბაქოების გამოსავლიანობის ამაღლება;

ბ) მოტეხილი თამბაქოს გამოტანა პლანტაციიდან და მისი ჩაწყობა სპეციალურ ტარაში აწარმოონ დაუყონებლივ შეტეხვის დამთავრებისთანავე თვითეულ მწკრივში.

თამბაქოს გადაზიდვის დროს საშრობ ფარდულში მას აუცილებლად უნდა გადაეფაროს სპეციალური საფარი (ჭილოფი, ტილო და სხვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატეგორიულად აიკრძალოს სიმძიმის დადება თამბაქოზე;

გ) შეტეხილი თამბაქოს ანემსვა დაამთავრონ ერთი დღე-ღამის განმავლობაში. ანემსვა აწარმოონ მხოლოდ ცალკეული იარუსებით, სავალდებულო წინასწარი დახარისხებით და არ დაუშვან ტექნიკურად დაზიანებული, ავადმყოფი, მოუმწიფებელი და გადამწიფებული ფურცლების ანემსვა ნორმალურ და ტექნიკურად მომწიფებულ ფურცლებთან ერთად;

დ) არ დაუშვან რომ ჩარჩოები თამბაქოთი კარში იქნეს დატოვებული ღამით, და აგრეთვე დღისითაც წვიმისა და ქარის დროს;

ე) თამბაქოს აღება ყველა მეთამბაქოობის რაიონებში დამთავრდეს არა უგვიანეს 20 სექტემბრისა.

მიღებულ იქნეს წესი, რომლის თანახმად ცალკეული იარუსების აღება და მთელი მოსავლის აღება დამთავრებულად ითვლება მხოლოდ მას შემდეგ რაც პლანტაციას შეამოწმებს აგრონომი კოლმეურნეობის თავმჯდომარის და იმ ბრიგადირის მონაწილეობით რომელზედაც იყო მიმაგრებული ნაკვეთი;

ვ) უზრუნველყოფილ იქნეს თამბაქოს ახალი საპლანტაციო-ტექნიკური ნაგებობების მშენებლობის და ძველების რემონტის დამთავრება არა უგვიანეს 15 აგვისტოსი, ხოლო სადამატოების 1938 წლის 7 ოქტომბრისათვის.

უკეთუ კოლმეურნეობებს არ მოეპოებათ საკმაო რაოდენობის საშრობი ფარდულები, გამოიყენონ უბრალო საშრობი სადგომები და ყველა სხვა ამ მიზნით გამოსადეგი სასოფლო-სამეურნეო ნაგებობები (ფარდულები, სარაია და სხვ.).

17. ერთპიროვნულ მეურნეობებში თამბაქოს ნორმალური გაშრობის ჩატარების დროს—აფხაზეთის და აჭარის ასსრ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა და ყველა მეთამბაქოობის რაიონების მიწათმოქმედების განყოფილებათა გამგეებმა ყველა ისეთ ერთპიროვნულ მეურნეობებში, რომელთაც არა აქვთ საშრობი სარაიები და თამბაქოს გაშრობისათვის გამოსადეგი ნაგებობანი, უზრუნველჰყონ გადასატანი ჩარჩოების დამზადება ამ მეურნეობებში იმ რაოდენობით, რომელიც უზრუნველჰყოფდეს თამბაქოს მთელი მოსავლის გაშრობას.

IV. კარტოფილი და ბოსტნეული

18. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რაიაღმასკომებს და მიწათმოქმედების ორგანოებს უზრუნველჰყონ კარტოფილის და ბოსტნეულ-ბახჩეული კულტურების არანაკლებ 3-4 მწკრივთაშორისო დამუშავების ჩატარება; ივლისის განმავლობაში დაამთავრონ კარტოფილის ამღები მანქანების რემონტი და მემანქანეთა მომზადება და მიამაგრონ მათზე მანქანები მოსავლის აღების მთელი პერიოდის განმავლობაში:

ა) არა უგვიანეს 1 აგვისტოსი დაამთავრონ რემონტი, მომზადება (გასუფთავება, დეზინფექცია და სხვ.) და მშენებლობა ბოსტნეულის და კარტოფილის შესანახი საწყობების იმ ვარაუდით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საჭირო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოსტნეულის და კარტოფილის თესლის საჭირო რაოდენობის შენახვა-აღებული წლის ნათესებისათვის;

ბ) უზრუნველყოფილ იქნეს კარტოფილის და ბოსტნეულის ჯიშიანი ნათესების და სათესლე ნაკვეთების მოსავლის ცალკე აღება და შენახვა და არ იქნეს დაშვებული სათესლეთ დანიშნული კარტოფილისა და ბოსტნეულის სხვადასხვა ხარისხების, კატეგორიების და კლასების ერთმანეთში შერევა;

გ) კარტოფილის მასიური აყვავილების და ბოსტნეულ-ბახჩეული კულტურების ტექნიკური მომწიფების პერიოდში მოეწყოს კარტოფილისა და ბოსტნეულ-ბახჩეული კულტურების ჯიშიანი ნათესების აპრობაცია;

დ) მოსავლის აღების პერიოდში ჩატარდეს უმაღლესი ხარისხის კარტოფილის სათესლე ფონდის ჩაყრა 1939 წელში დასათესად; სათესლე ფონდის ჩაყრის დროს გათვალისწინებულ იქნეს სადაზღვევო ფონდის შექმნა თესლის საჭირო მოთხოვნილების 20%-ის რაოდენობით;

ე) ყინვების დაწყებამდე მოეწყოს და ჩატარებულ იქნეს რიგითი კარტოფილის გადაცვლა ისეთ კოლმეურნეობებში, რომელნიც არ არიან უზრუნველყოფილნი, ჯიშიანი სათესლე მასალით, სხვა კოლმეურნეობების ჯიშიან კარტოფილზე.

ყინვების დაწყებამდე აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებმა დაამთავრონ ჯიშიანი სათესლე კარტოფილის მიღება სახჯიშფონდის დაბზადებებიდან;

ვ) კარტოფილის ამოთხრისთანავე ჩატარებულ იქნეს სავალდებულო გაფარცხვა აკრეფით, და აგრეთვე გადახვნა კარტოფილის განმეორებითი აკრეფით მთელ აღებულ სივრცეზე, როგორც მოსავლის აღების დროს კარტოფილის დაკარგვასთან ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ღონისძიება;

ზ) მოეწყოს ბოსტნეულ-ბახჩეული კულტურების მოსავლის დროული აღება და არ იქნეს დაშვებული დაკარგვა და დაზიანება მოსავლის აღების, გადაზიდვის და შენახვის დროს.

19. წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარის ასსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს და სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და კარტოფილის მთესველ რაიონების რაიაღმასკომებს დაუმტკიცონ თვითეულ კოლმეურნეობას და სასოფლო საბჭოს კარტოფილის ამოთხრისა და დამამზადებელ პუნქტებზე მიზიდვის გეგმა.

კარტოფილის მასიურად ამოთხრის დაწყება დაწესდეს ცალკეული ჯიშების მომწიფების ვადების მიხედვით, ხოლო არა უგვიანეს 20 სექტემბრისა და უზრუნველყოფილ იქნეს დროულად, ყინვების დაწყებამდე, კარტოფილის ამოთხრის და გაზიდვის დამთავრება და ჩაბარება სახელმწიფოსათვის სავალდებულო ჩაბარების წესით და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობისათვის ნატურანაზღაურების წესით.

20. თბილისის, ყარაიის, ბორჩალოს, გორის, ხაშურის, ქუთაისის, ვანის, ამბროლაურის, თელავის, ყვარლის და ახალციხის რაიონების აღმასრულებელმა კომიტეტებმა უზრუნველჰყონ მოსავლის დროულად აღება ბოსტნეულ-ბახჩეულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურების სათესლეებიდან იმ ფართობებზე, რაც დაწესებულია სახელმწიფო გეგმით თვითეული კოლმეურნეობისათვის და არა უგვიანეს 1 ნოემბრისა უზრუნველჰყონ თესლის ჩაბარება სახელმწიფონდისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. დ. ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. ივლისის 13, № 1039.
თბილისი.

611

6. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატ საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას დებულება საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს დებულება საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის შესახებ, დამტკიცებული საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 17 სექტემბრის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 22, მუხ. 234; 1933 წ. № 18, მუხ. 252; 1934 წ. № 19, მუხ. 164).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. დ. ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. ივლისის 17. № 1082.
თბილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის შესახებ

საერთო დებულებანი

1. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი მოქმედობს საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) IV თავის საფუძველზე და წარმოადგენს რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატს.

2. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს ეკისრება ხელმძღვანელობა გაუწიოს საბინაო და კომუნალური მშენებლობის განვითარებას ქალაქებში, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში და რაიონულ ცენტრებში, აგრეთვე საბინაო ფონდისა და კომუნალურ საწარმოთა ექსპლოატაციას და არსებულ და ახალ ქალაქების, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილების და რაიონულ ცენტრების სოციალისტურ რეკონსტრუქციას და მშენებლობას.

3. საქართველოს სსრ კომუნალურ მეურნეობის სახალხო კომისარიატი ხელმძღვანელობს სახელმწიფო მმართველობის მისთვის მინდობილ დარგებს და ექვემდებარება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის გამგებლობის საგანი

4. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი:

1) ანხორციელებს საორგანიზაციო-სამეურნეო და ოპერატიულ-ტექნიკურ ხელმძღვანელობას საბინაო და კომუნალურ მეურნეობაზე და ადგილობრივ საბჭოების მშენებლობაზე;

2) ამუშავებს და შეაქვს საკანონმდებლო ორგანოებში დასამტკიცებლად კანონების პროექტები საბინაო და კომუნალური მეურნეობის და მშენებლობის დარგში; ანხორციელებს ხელმძღვანელობას და უწევს კონტროლს მათ ცხოვრებაში გატარებას;

3) ადგენს შენაკრებ პერსპექტიულს, წლიურს და კვარტალურ გეგმებს, ქალაქებში, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში, მუშათა, საგარაკო, საკუროორტო დაბებში და რაიონულ ცენტრებში საბინაო და კომუნალური მეურნეობისა და მშენებლობის დარგში; ადგენს ამ მეურნეობისა და მშენებლობის დაფინანსებისა და დაკრედიტების გეგმებს და ხელმძღვანელობს ამ გეგმების შესრულებას;

4) ხელმძღვანელობს დასახლებულ ადგილების აგეგმვასა და დაგეგმვას, ამუშავებს და გამოსცემს, მომქმედი კანონების საფუძველზე, ნორმებს, წესებს და ინსტრუქციებს ქალაქებში, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში, მუშათა, საგარაკო, საკუროორტო დაბებში და რაიონულ ცენტრებში აგეგმვის და დაგეგმვის, აღნაგობის და მიწის ნაკვეთების მიჩენის საკითხებზე;

5) ხელმძღვანელობს საბინაო და კომუნალური მეურნეობის ექსპლოატაციას და ტექნიკურ რეკონსტრუქციას;

6) ამუშავებს და ამტკიცებს საბინაო და კომუნალური მეურნეობის ექსპლოატაციის წესებსა და ნორმებს (ქალაქების, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილების და რაიონულ ცენტრების სახლების ფონდი, სასტუმროები, წყლითმომარაგება, კანალიზაცია და გაწმენდა, ქალაქების ელექტროფიკაცია, თბოფიკაცია, გაზიფიკაცია, ყველა სახის ქალაქის ტრანსპორტი, საგზაო-საქვაფენილო მეურნეობა, აბანოები, სამრეცხაოები, ქალაქის მიწები, ქალაქების გამწვანება, ქალაქის ტყეები, პარკები და სხვა);

7) ანხორციელებს საერთო რეგულირებას და უწევს კონტროლს მომქმედი კანონების შესრულებას ქალაქებში, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში და რაიონულ ცენტრებში კომუნალური მომსახურეობისათვის და საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ სადგომებით და მიწებით სარგებლობისათვის სასყიდლის გადახდევინების საკითხებზე;

8) ანხორციელებს ტექნიკურ ზედამხედველობას საბინაო ფონდის ნორმალურ შენახვაზე და ექსპლოატაციაზე, დამოუკიდებლად იმისა, თუ ვის გამგებლობაში იმყოფება აღნიშნული ფონდი, და კონტროლს უწევს სხვა უწყებათა საბინაო მშენებლობის გეგმების შესრულებას;

9) აწესრიგებს ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობას და საერთო-სახალხო ვალყურეობას უწევს ცალკე მოქალაქეთა კუთვნილ საცხოვრებელ სახლების სწორ გამოყენებას;

10) ანხორციელებს საბინაო და კომუნალური მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიურ რეგულირებას (ტიპიური პროექტების, საამშენებლო ნორმებისა და წესების შედგენა და გამოცემა, სტანდარტების დამუშავება, დამტკიცება და სხვ.);

11) ამტკიცებს მიღებული წესისამებრ ქვემდებარე საბინაო და კომუნალური მშენებლობის პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს;

12) ხელმძღვანელობს კომუნალური მეურნეობის ადგილობრივ ორგანოებისადმი დაქვემდებარებულ საპროექტო და საამშენებლო ორგანიზაციების მუშაობას და განაგებს უშუალოდ დაქვემდებარებულ საპროექტო, საამშენებლო და მომმარაგებელ ორგანიზაციებს;

13) ამუშავებს მშენებლობით დამთავრებულ საცხოვრებელ და ადმინისტრატიულ შენობათა, აგრეთვე საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების ქვემდებარე კომუნალურ საწარმოთა და ნაგებობათა მიღებისა და ექსპლოატაციაში ჩაბარების წესებს;

14) ხელმძღვანელობს კომუნალური მეურნეობის სისტემაში კომუნალური მოწყობილობის და საამშენებლო მასალების წარმოებას და განაგებს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის ქვემდებარე რესპუბლიკური მნიშვნელობის სამრეწველო საწარმოებს;

15) ხელმძღვანელობს კადრების მომზადებას და მართავს მის გამგებლობაში მყოფ სასწავლებლებს და სამეცნიერო-საგამოკვლევო დაწესებულებებს, აგრეთვე ანაწილებს სამეურნეო და საინჟინერო-ტექნიკურ მუშაკთა ხელმძღვანელ კადრებს;

16) ხელმძღვანელობას უწევს კომუნალური და საბინაო მშენებლობის და მეურნეობის აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენებას ადგილებზე, ადგენს შენაკრებ ყოველთვიურ, კვარტალურ, ნახევარი წლის და წლიურ ანგარიშებს და დაწესებულ ვადებში უდგენს მათ სათანადო ორგანოებს;

17) აარსებს და ხელმძღვანელობს ქვემდებარე საწარმოთა და ორგანიზაციათა სახანძრო და სადარაჯო დაცვას;

18) ანხორციელებს ქვემდებარე საწარმოთა და ორგანიზაციათა შინასაუწყებო კონტროლს და პერიოდულ დოკუმენტალურ რევიზიას;

19) აწყობს საუწყებო არბიტრაჟს ქვემდებარე საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის ქონებრივ დავების გადასაწყვეტად;

20) ანხორციელებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით მასზე დაკისრებულ სხვა ამოცანებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სტრუქტურა

5. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სათავეში სდგას სახალხო კომისარი, რომელსაც ჰყავს მოადგილეები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ განსაზღვრული რაოდენობით.

6. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისართან არსდება კოლეგია, რომელიც იწვევს რეგულარულ სხდომებს და პირველ რიგში იხილავს პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების და კადრების შერჩევის საკითხებს, აგრეთვე ადგილობრივ ორგანოების მუშაკთა ანგარიშებს და არსებითი ხასიათის ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება სახალხო კომისრის ბრძანებების სახით.

სახალხო კომისრისა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში, სახალხო კომისარს გაჰყავს ცხოვრებაში თავისი გადაწყვეტილება და ამავე დროს ამ უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიანთ მიმართონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო,—საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრის წარდგენით.

7. ადგილებთან კავშირისა და გამოცდილების გაზიარებისათვის, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისართან არსდება სახალხო კომისარიატის საბჭო, რომლის პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო,—საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრის წარდგენით.

სახალხო კომისარიატის საბჭო მოიწვევა ორ თვეში ერთხელ და იხილავს კომუნალური მეურნეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

8. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში არსდება შემდეგი სამმართველოები და განყოფილებები:

1) საბინაო მეურნეობის მთავარი სამმართველო, მომქმედი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წ. 22 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცებული დებულების საფუძველზე (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 21, მუხ. 165);

2) მთავარი კომუნალური სამმართველო, რომელიც განაგებს კომუნალური მეურნეობისა და მშენებლობის საკითხებს, სახელდობრ: მიწათმოწყობის საკითხები ქალაქებში, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში და რაიონულ ცენტრებში, კეთილმოწყობის, საგზო-საქვაფენილო მეურნეობის, გამწვანების, წყლით-

მომარაგების, კანალიზაციის და გაწმენდის, ენერგეტიკის გაზიფიკაციის, თბოფიკაციის, აბანოებისა და სამრეცხაოების მეურნეობის საკითხებს, ქალაქის, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილების და რაიონულ ცენტრების აგეგმვისა და დაგეგმვის საკითხებს, აგრეთვე კომუნალურ ქონებათა ინვენტარიზაციის საკითხებს.

მთავარი კომუნალური სამმართველო გეგმავს კომუნალურ საწარმოთა და ნაგებობათა კაპიტალურ მშენებლობასა და რემონტს, ქალაქების, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებისა და რაიონულ ცენტრების კეთილმოწყობის ხარჯებს, აგრეთვე აწესრიგებს კომუნალური მეურნეობის ობიექტების ექსპლოატაციას და აწარმოებს აღრიცხვასა და ანგარიშგებას კომუნალურ საწარმოთა და ნაგებობათა მშენებლობის, რემონტის და ექსპლოატაციის დარგში;

3) საგეგმო-ეკონომიური განყოფილება, რომელიც ანხორციელებს საერთო და შენაკრებ დაგეგმვას, აღრიცხვას და ანგარიშგებას, აგრეთვე შინასაუწყებო კონტროლს, სახელდობრ:

ა) დაგეგმვის საკითხების ორგანიზაციასა და დამუშავებას, კომუნალური და საბინაო მეურნეობის და მშენებლობის შენაკრებ რესპუბლიკურ პერსპექტიულ, წლიურ და კვარტალურ გეგმების შედგენას და მათ წარდგენას სათანადო ინსტანციებში;

ბ) აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოებას დაწესებული მეთოდითა და ფორმებით; ოპერატიულ დახმარებას და ხელმძღვანელობას დარგობრივ სამმართველოების მიმართ აღრიცხვისა და ანგარიშგების საქმეში; ანგარიშგების შევსების ინსტრუქციების დამუშავებას და მათ გამოცემას საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოსთან შეთანხმებით;

გ) კომუნალური და საბინაო მეურნეობის და მშენებლობის შენაკრებ ანგარიშგებისა და კონიუნქტურულ მიმოხილვების შედგენას დარგობრივ სამმართველოების მიერ წარმოდგენილ საანგარიშო მასალების საფუძველზე, და კონიუნქტურულ თათბირების მოწვევას;

დ) მშენებლობისა და ექსპლოატაციის გეგმების შესრულების დარგში შენაკრებ ანგარიშების წარდგენას სათანადო ორგანოებისათვის დაწესებულ ვადებში;

4) ადმინისტრატიული განყოფილება;

5) სპეცგანყოფილება;

6) კადრების განყოფილება;

7) ინსპექტორი ორთქლის ქვაბების, ბალონების, ამწევების და წნევის ქვეშ მომქმედ სხვა ხელსაწყოების ზედამხედველობის დარგში.

9. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან არსებობენ:

ა) სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, რომლის ამოცანას წარმოადგენს განხილვა საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრის მიერ დასამტკიცებელ არასამრეწველო მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხვებისა, ქალაქის, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილების და რაიონულ ცენტრების, მუშათა, საკურორტო და სააგარაკო დაბების დაგეგმვის პროექტების განხილვა, აგრეთვე კონსულტაცია და დასკვნების მიცემა ცალკეულ ტექნიკურ-ეკონომიურ პრობლემებზე მშენებლობის რეკონსტრუქციის და დაგეგმვის დარგში;

ბ) საუწყებო არბიტრაჟი, რომლის ამოცანას წარმოადგენს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის ქვემდებარე საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის ქონებრივი დავის გადაწყვეტა.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო და საუწყებო არბიტრაჟი მოქმედობენ განსაკუთრებულ დებულებების საფუძველზე, რომლებსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარი.

10. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სისტემაში მედიან შემდეგი რესპუბლიკური ტრესტები:

ა) საბინაო, კომუნალური და საერთოდ არასამრეწველო მშენებლობის ობიექტების პროექტების და აგრეთვე დასახლებულ ადგილების აგეგმვისა და დაგეგმვის ტრესტი—„საქკომუნპროექტი“;

ბ) საბინაო, კომუნალური დს საერთოდ არასამრეწველო მშენებლობის ტრესტი „საქმშენი“;

გ) მოძარაგებისა და გასაღების დარგში „საქმომარაგება“.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოები

11. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოებს წარმოადგენენ: აფხაზეთისა და აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატები, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კომუნალური მეურნეობის საოლქო განყოფილება და ქალაქის საბჭოებისა და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტების კომუნალური მეურნეობის განყოფილებები.

12. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის ბრძანებები და ინსტრუქციები სავალდებულოა აფხაზეთისა და აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატებისათვის, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კომუნალური მეურნეობის საოლქო განყოფილებისათვის და ქალაქის საბჭოების და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტების კომუნალური მეურნეობის განყოფილებებისათვის, აგრეთვე საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში შემავალ ან მის სისტემაში მყოფ ყველა სამმართველოების, განყოფილებების, ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. 1938 წლის მოსავლის თამბაქოს აღების გეგმის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს თამბაქოს აღების გეგმა საქართველოს სსრ-ში 1938 წლის მოსავლიდან 150.909,4 ათას ზონარ მეტრის რაოდენობით, მათ შორის კოლმეურნეობებში 118.872,2 ათას ზონარ მეტრ. და ერთიპროვნულ მეურნეობებში 82.037,2 ათას ზონარ მეტრ., შემდეგი განაწილებით ავტონომიური რესპუბლიკებისა და მეთამბაქოობის რაიონების მიხედვით (იხ. დანართი).

2. აფხაზეთის და აჭარის ასსრ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა და მეთამბაქოობის რაიონების რაიმიწგანის გამგეებმა ხუთი დღის ვადაში შეადგინონ თამბაქოს მოსავლის აღების კალენდარული გეგმა ცალკეულ კოლმეურნეობებისათვის და ერთპიროვნულ მეურნეობებისათვის სასოფლო საბჭოების მიხედვით და დაიყვანონ იგი კოლმეურნეობებამდე და ერთპიროვნულ მეურნეობებამდე.

3. იმის გამო, რომ თამბაქოს მოსავლიანობა ერთი ჰექტარიდან აჭარის ასსრ-ში 1938 წ. იძლევა შემცირებას 1937 წლის მოსავლიანობასთან შედარებით, წინადადება მიეცეს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს შეამოწმოს მოსავლიანობის შემცირების მიზეზები და ერთი დეკადის ვადაში მოახსენოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. დ. ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. ივლისის 17, № 1093.
თბილისი.

დანართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონები	თამბაქოს დარგვა გაზომვით ჰექტარით			საშუალო მოსავლიანობა 1 ჰექტ. ცენტნ.	ტონ.-მეტრ. გამოსავალი ჰექტარიდან	მოსავლის აღების გეგმა ათას ტონ.-მეტრ.		
	კოლმეურნეობები	ერთპიროვნ. მეურნეები	სულ			კოლმეურნეობები	ერთპიროვნ. მეურნეები	სულ
აფხაზეთის ასსრ	8435,5	2984,5	11420	7,99	7700	64953,0	22981,0	87934,0
აჭარის ასსრ	604,1	186	790,1	8,18	6200	3745,5	1153,0	4898,5
ლაგოდეხის	3058,4	254,2	3312,6	13,3	7510	22968,6	1909,0	24877,6
სიღნაღის	1335,2	64,3	1399,5	9,9	4950	6609,0	318,0	6927,0
ყვარლის	363,4	80,3	443,7	10,5	6100	2216,5	490,0	2706,5
გურჯაანის	150	—	150	8	5000	750,0	—	750,0
ბორჩალოს	1549,2	597,7	2146,9	10	6660	10317,0	3981,0	14298,0
ლუქსემბურგის	323,3	144,1	467,4	10	7350	2376,0	1059,0	3435,0
ზუგდიდის	202,1	10	212,1	8	8790	1776,0	88,0	1864,0
ჩხოროწყუს	92,5	7,6	100,1	7,5	7650	707,6	58,2	765,8
ჩოხატაურის	355	—	355	6,5	6910	2453,0	—	2453,0
სულ საქართვ. სსრ-ში	16468,7	4328,7	20797,4	9,25	7352	118872,2	32037,2	150909,4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მ ი ს ა მ ა რ თ ი ს ̆ ა თ ვ ი ს

ფასი 30 კაპ.

საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა.

მთავლიტი № ბ-1133. შეკვ. № 1092. ტირაჟი 2000.